საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთის ღანძილი

მთის ღანძილი (Allium victorialis), მრავალწლოვანი ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა. მისი ღეროს სიგრძე 30-70 *სმ* აღწევს. ბოლქვი ირიბ ფესურაზე ზის და შემოხვეული აქვს რუხ-მურა ბადისებრი გარსი.

გავრცელებულია ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ჩრდ. ამერიკაში. საქართველოში იზრდება ტყეებსა და ტყისპირებზე, მდელოებზე, ძირითადად მთის ზედა სარტყელში.

საკვებად გამოიყენება მოხარშული ან დამწნილებული.